

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, გამოწვევები და  
განვითარების პერსპექტივები

თამთა ნადირაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა  
და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნის შესაბამისად*

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თამთა ნადირაშვილი

## აბსტრაქტი

ფასიანი ქაღალდების ბაზარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარების პროცესში. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, ფუნდამენტური როლის მატარებელია აღნიშნული ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, რამეთუ ფასიანი ქაღალდები დადებით კორელაციაშია კაპიტალის ბაზრის მაჩვენებელთან და საერთო ჯამში, ქვეყნის კეთილდღეობასთან.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი დაბალი აქტივობით ხასიათდება, რაც აფერხებს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოზიდვის შესაძლებლობას და ზღუდავს ბაზრის განვითარების პერსპექტივას.

ნაშრომში განხილულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ეტაპები. დასაბუთებულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. პარალელურად, გაანალიზებულია ეროვნული ბანკის - როგორც მარეგულირებელი ორგანოს როლი საფონდო ბირჟის განვითარების საკითხში. დასმულია ძირითადი გამოწვევები აღნიშნული მიმართულებით. ასევე, კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის ანალიზის კუთხით, შეფასებულია გადგმული ნაბიჯების ეფექტურობა და გავლენა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობაზე.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პერსპექტივების შეფასება და ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი.

შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების ანალიზისა და თვისებრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დაბალი ტემპს განსაზღვრავს გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა, რის გამოც, ფასიანი ქაღალდების ბაზარი ინვესტორებისთვის სანდოობის დონით არ გამოირჩევა. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასევე ეროვნული ბანკის - როგორც მარეგულირებელი ორგანოს შეზღუდულად ფუნქციონირების საკითხიც საფონდო ბირჟასთან დაკავშირებით.

ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის საჭიროა მოხდეს რიგი ცვლილებები, რაც ფასიანი ქაღალდების ბაზარს ჩამოაყალიბებს უმნიშვნელოვანეს საინვესტიციო მექანიზმად.

ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ ცნობიერების ამაღლების და დღევანდელი მდგომარეობით ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ფასიანი ქაღალდების ბაზარი, კაპიტალის ბაზარი, საქართველოს ეროვნული ბანკი.

## **Abstract**

The securities market is of great importance in the process of economic development. For Georgia, as a developing country, promoting the development of this market plays a fundamental role because securities have a positive correlation with the capital market index and overall prosperity of the country.

The securities market in Georgia is characterized by low activity, which hinders the possibility of attracting alternative sources of financing and limits the prospects for market development.

The paper discusses the historical and legal stages of the formation and development of the securities market. It substantiates the importance of state securities for the sustainable development of the country. Additionally, it analyzes the role of the National Bank as a regulatory body in the development of the stock market and identifies the main challenges in this direction.

Furthermore, the paper evaluates the effectiveness of the steps taken in the analysis of the capital market development strategy and their impact on the securities market development.

The aim of the master's thesis was to assess the development prospects of the country's securities market and analyze the main hindering factors. As a result of analyzing relevant scientific works and qualitative research, it was determined that the slow development of the securities market is due to a flawed legal framework, which does not provide sufficient reliability for investors. Another significant factor is the limited regulatory function of the National Bank concerning the stock exchange.

To promote market development, it is necessary to implement several changes that would establish the securities market as the primary investment mechanism. This paper can raise awareness of the securities market and identify the key challenges it currently faces.

Keywords: securities market, capital market, National Bank of Georgia.

## მადლობა

მადლობას ვუხდის სამეცნიერო ხელმძღვანელს - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, სალომე დანელიას. მისმა დეტალურმა კომენტარებმა და მითითებებმა დიდი წვლილი შეიტანა ნაშრომში განხილული თემების სწორ ჩამოყალიბებაში.

ასევე, მადლობას ვუხდის დარგის სპეციალისტებს კვლევაში მონაწილეებასა და სასრგებლო რეკომენდაციების გაზიარებისთვის.